№ 80
პარასკევი, 13 აპრილი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 80
პარასკევი, 13 აპრილი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

კვირას, 15 აპრილს,
არტისტი-ქალი **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა**
გამართავს წარმოდგენას ქ-ნ მ. მ. საფაროვის მონაწილეობით.
წარმოდგენილი იქმნება

ხათაბალა

კომედ. 4 მოქ. და 5 სურ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ნებიერიძისა; ბ ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე და სხვ. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ $8^1/_2$ საათზედ.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა 1901 წ.

გამოფენა დაიწყოფა ტფილისში 20 აგვისტოს და შემდეგი განყოფილებანი ექმნება:

1, მიწად მოქმედება.
2, მევენახობა და მეღვინეობა.
3, საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.
4, დეკორატიული ბაღოსნობა.
5, ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა.
6, ტყის მოვლა მოშენება.
7, შინაური საქონელი და ფრინველი.
8, მერძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი.
9, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.
10, მეთევზეობა და მონადირეობა.
11, სასოფლო სამეურნეო იარაღი და მანქანები.
12, შინა და სახელოსნო მრეწველობა.
13, საქარხნო მრეწველობა.
14, სამთო მრეწველობა.
15, საპედაგოგიო საპროფესიონალო განყოფილება.
16, სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება.
17, სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება.
18, სამხატვრო განყოფილება.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, და ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პირის პირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ კომისარიატის კანცელარიის ბინაზედ. (10 - ნ.—2)

ოჯახობა განსვენებულის **ალექსანდრე ნიკოლოზის ძის აბდუშელიშვილისა** უღრმეს მადლობას უცხადებს ყველას, ვინც-კი მიცვალებულის ხსოვნას დეპეშებით, ბარათებით და თანადასწრებით პატივი სცა. (3—6.—1).

ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან:

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავადაზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავ. გიორგი ივანეს ძის ერისთავის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ათას სამას ორმოცდა ხუთის (1345) მანეთის, შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელს უჭირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული თავ. ერისთავის, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება. (3—6.—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის ც. გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (გარნიზონის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. ზატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ზ. ბეჟირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბილოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ ამიერ-კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლეს, კნეინა მ. თ. გოლიცინისას 4,000 მან. შეუწირავს ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის ასაშენებლად.

⁂ ხვალ, 14 აპრილს, ავჭალის ქუჩაზედ სახალხო თეატრში ჩვეულებრივი ქართული წარმოდგენა იქმნება გამართული. წარმოადგენენ ა. ცაგარლის კომედიის „მათიკოს" მესამე მოქმედებასა და ამავე ავტორის ვოდევილს „ქკუისა მჭირს".

⁂ აზრადა აქვთ ამ ზაფხულს რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან მრავალნი გადმოასახლონ კავკასიაში. რკინის გზებმა განკარგულება მიიღეს, ამ გადმოსახლებულთ ჯარისკაცთა მატარებლები დაუთმონ.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საბჭოს საბოლოოდ განუხილავს და მოუწონებია ამიერ-კავკასიაში სახაზინო გლეხთა დასახლების პროექტი, რომელსაკ მაისში სახელმწიფო საბჭოში შეიტანენ განსახილველად.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა ტფილისის საბაღოსნო სკოლის მდგომარეობის შესახებ მოხსენება, რომელიც 11 აპრილს წარუდგინა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი აცხადებს: რკინის გზის მკურნალებმა აღმოაჩინეს, რომ ამ გზის ბევრი მოსამსახურე ყოფილა ავადმყოფი, რაიცა მათ სამსახურში მიღების დროს შემოწმებამ ვერ შენიშნა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება სამსახურის მსურველნი შემოწმებისათვის თავის მაგივრად სხვას ვისმე ჯანმრთელს გზავნიდნენ. ამის გამო საჭიროა შემდეგი წესრიგი იქმნას შემოღებული: სამსახურის მსურველნი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ მკურნალთა კომისიაში თავის ფოტოგრაფიულ სურათებით, რომელზედაც უნდა იყოს წარწერილი ახლად მიღებულ მოსამსახურის სახელი და გვარი, და ეს სურათი უნდა მიეკრას შემოწმებულთა სასანიტარო სურათებს. თუ შეუძლებელ იქმნა ფოტოგრაფიულის სურათის დაუყოვნებლივ წარდგენა, იმ შემთხვევაში უეჭველად უნდა იყოს რკინის გზის სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც იცნობს ახლად მიღებულს.

⁂ იგივე უფროსი აცხადებს, რომ იმ სადგურებში, სადაც მოსამსახურენი სახაზინო სახლებში სცხოვრობენ, დარაჯებსა და მეისრეთ მხოლოდ მორიგეობის დროს შეიძლება დაევალოს წყლის და შეშის მიტანა სხვა მოსამსახურეთათვის. ხოლო სხვა პირად სამსახურის შესრულება სადგურის უფროსისა, თუ სხვა აგენტებისათვის, შეიძლება მათ იკისრონ მხოლოდ თავისუფალ დროსა და ისიც განსაკუთრებულის სასყიდლით.

⁂ მთავრობამ ნება-დართო რკინის გზების მესამე კლასის თვიური, წლიური და სეზონის ბილეთები მოსწავლეთ ნახევარ ფასად დაეთმოთ ხოლმე.

⁂ კავკასიის გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტს შუამდგომლობა აღუძრავს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მომავალ გამოფენის დროს შინა-მრეწველობისა და სახელოსნო განყოფილების უკეთ მოსაწყობად საჭირო თანხა იქმნას გადადებული.

⁂ 16 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება მოხდება.

⁂ 10 არილს, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში დაიწყო ტფილისის გუბერნიის ტყის უფროსთა კრება სხვადა-სხვა სატყეო საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ 15 აპრილისათვის დანიშნულია ტფილისის ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრთა საზოგადო კრება კასის ანგარიშისა და სხვა საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ ტფილისის სახაზინო პალატის განკარგულებით მაზრის მთავრობებს გაეგზავნა სახელმწიფო სადგილ-მამულო გარდასახადთა ფურცლები მემამულეთათვის დასარიგებლად.

⁂ მომავალ 1902 წელს ამიერ-კავკასიის საგუბერნიო და საოლქო სასტატისტიკო კომიტეტების შესანახი ხმარჯი გამონაგარიშებულია 14,000 მან.

⁂ 11 აპრილს სასწავლებელთა კომისიას წარუდგენია ქალაქის გამგეობისათვის ხუროთ-მოძღვრის მიერ შედგენილი პროექტი ალექსანდრეს ბაღში პუშკინის სახელობაზედ უფასო წიგნთ-საცავის დაარსებისა. ამ პროექტით წიგნთ საცავის ხარჯთ აღრიცხვა გამონაგარიშებულია 8,971 მან.

⁂ ხვალ, 14 აპრილს, ქუთაისში აგრონომთა კრება დაიწყება.

⁂ სამშაბათს, 10 აპრილს, საღამოს 9 საათზედ, „კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების" სადგომში მოხდა კრება რედაქტორების იმ კომისიისა, რომელსაც ამას წინად დაევალა განეხილა საკითხი კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზედ ბეჭდვითი საქმის განყოფილების მოწყობის შესახებ. კომისიამ დაადგინა დანიშნოს კრება კვირის, 15 აპრილისათვის, რომელზედაკ მოწვეულ იქმნებიან სტამბის პატრონებიც და მათთან ერთად შეუდგებიან ამ საქმის განხილვას.

⁂ 10 აპრილს ნატახტარის წყაროების გამომკვლეველ კომისიას,

ექიმის ლუნკევიჩის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონდა. კომისიაში წარდგენილ მოხსენებიდგან სჩანს, რომ ეს წყაროები ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურად გამოუკვლევიათ და კარგის თვისებისა აღმოჩენილა. კომისიამ დაადგინა, 13 აპრილს ისევ დაათვალიეროს ეს წყაროები და წყაროს ნიმუში წამოიღოს ხელ-ახლა გამოსაკვლევად.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ამას წინად საზღვარ გარეთიდგან ჩამოვიდნენ ტფილისში ახალგაზრდა მხატვარი მრევლიშვილი და სკულპტორი ნიკოლაძე. ამ დღეებში მათ ტფილისში პირველი „სამხატვრო და საქანდაკო“ სკოლა დააარსეს გრიბოედოვის ქუჩაზედ, არშაკუნის სახლში.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებული ი. ს. მედვედევი პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნდა.

⁂ ქალაქ ტფილისის წარმომადგენლად მომავალ მებაღეთა კრებაზედ დანიშნულ იქმნა ა. ა. კალანთარი.

⁂ როგორც „ტფ. ფურ.“-ს შეუტყვია, ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალ შენის დირექტორი ბ-ნი ბეკენდორფი რუსეთში გადაუყვანიათ, ხოლო დროებით ახალშენის საქმეთა გამგეობა დირექტორის თანაშემწის ბ ნ ა. ბებეშკორისათვის ჩაუბარებიათ.

⁂ 18 აპრილს, დღის 12 საათზედ, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის დარბაზში საჯარო ვაჭრობა მოხდება, რომელზედაც იჯარით გაიცემა ყარაიას სახაზინო ტბაში თევზის ჭერის უფლება 5 თვის ვადით 1901 წლის 18 აპრილიდგან ამავე წლის 1 სექტემბრამდე.

⁂ როგორც „ნორ-დარს“ შემახიდგან ატყობინებენ, იქ აარსებენ თურმე ნავთის მწარმოებელთა სააქციონერო საზოგადოებას.

⁂ „მშაკს“ ზაქათალიდგან სწერენ, რომ აქ ამ უკანასკნელ ხანებში რამდენჯერმე მიწის-ძვრა მოხდაო.

⁂ იუსტიციის სამინისტრომ სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმებით დაავალა საგუბერნიო მთავრობათ, რომ დაპატიმრებულს საპყრობილედგან საპოლიციო, სასამართლო და სხვა დაწესებულებაში გაგზავნის დროს უეჭველად ცხენოსანი დარაჯი გაატანონ ხოლმე.

⁂ 11 აპრილს, ტყიბულასა და საწირეთს შუა მატარებელ № 35-ში ერთმა მგზავრმა, რაჭის მცხოვრებელმა მინა იაკობის ძე ბუაძემ ხანჯლით დასჭრა თავში რაჭის მაზრისავე მცხოვრები ვასილი დავითის ძე კივრიშვილი. დაჭრილს შეუხვიეს ჭრილობა დამჭრელი ჟანდარმს გადასცეს.

⁂ 11 აპრილს განსაკუთრებულმა კომისიამ, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის თავმჯდომარეობით დაათვალიერა ნავთლუღში ძაღლების თავშესაფარი, დახოცილ საქონელთა საწყობი და საქონლის ხორცის დასაწვავი ღუმელები.

⁂ სამშაბათს, 10 აპრილს, პოლიციის მოხელემ შეიპყრო შუა ბაზარში გორის მაზრის მცხოვრები გლეხი ივანე მახარობლიძე, რომელსაც სადღაც შალი მოეპარა და მიჰქონდა.

⁂ პოლიციის მე 9 ნაწილში მცხოვრებ გიორგი პავლეს ძე მაისურაძეს ოსმალეთის ქვეშევრდომმა გასპარა მანუკიანცმა მოჰპარა სხვა-და სხვა ნივთები სულ 13 მან. 90 კაპ. ღირებულობისა. მანუკიანცი პოლიციამ უკვე შეიპყრო. გამოძიება სწარმოებს.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ტოლოში (ახალციხის მაზ. რა). სოფ. ტოლოშს ლეპისის საზოგადოებაში პირველი ადგილი უჭირავს როგორც თავისს შესანიშნავ ბოსტან-ბაღეულობით, აგრეთვე სწავლა-განათლებით. სოფელი მესხეთისა და ჯავახეთის საზღვარზედა სძევს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, სამხრეთით, 1 ვერსის სიშორეზედ და 7 ვერსის მანძილზედ მონასტერ ვარძიიდგან და თმოგვის ციხიდგან, სადაც ჩვენი ძვირფასი სარგის თმოგველი ასაფლავია. შიგ სოფელს ჩამოუდის ორი წმინდა, გემრიელი კალმახით სავსე, წყალი ანადური და ხევა. თვითონ ტოლოში პატარა სოფელია და შეიცავს 27 კომლს გლეხს, რომელთაგანაც 14 ქართველია და 13 თათარი(?). აქვე სცხოვრობენ ამ სოფლის მებატონეები, რიცხვით 4 კომლი (ხიდირბეგიშვილი და თულაშვილები). სოფლის სიმდიდრეს შეადგენს ბაღები, რომლებიც სავსეა სხვა და-სხვა ხეხილებით: ვაშლით, მსხლით, ალუბლით, თუთით, ატამითა და ყველანაირი წვრილი ხილით, დიდი მოსავალი იცის ამ ხილმა ორ წელიწადში ერთხელ და დიდ-ძალს მუშტარსაც იზიდავს აქაური გათქმული შაქმა, ყარანფილა, მაჟალა, თავრეჟული და სხვ. ზაფხულობით ამ სოფელში ყველა მხრის ხალხს შეჰხვდებით. აქ ნახავთ: ახალქალაქელ, არტანელ, ყარსელ, გუმბრელ, ტფილისელ სომეხს, ურიას, იმერელსა და ხარკოვ-ოდეს-დონელ რუსს, რომლებიც მეტად იაფ-ფასად იგდებენ ხელში ამ სოფლის სიმდიდრესა და ხალხი ისევ სიღარიბეში რჩება; აქაურებს არ შეუძლიათ ისე ისარგებლონ თავიანთის ხილით, როგორადაც ხერთვისელი თათრები სარგებლობენ, მიუხედავად იმისა, რომ ხერთვისის ხილი აქაურზედ შედარებით დაბლა სდგას. ამისი პირველი და უკანასკნელი მიზეზი ის გახლავთ, რომ მტკვარზედ უხიდობისა გამო, სოფელი მოწყვეტილია ახალციხის საურმე შარა გზას. მართალია, სოფელ ხერთვისში ზაფხულობით ხის ხიდი იმართება, მაგრამ იმაზედ გაჭირვებით ცხენი და საკიდი ძლივს გადის და ურმით ხომ გასვლა სიზმარშიაც არ მოეჩვენება აქაურს კაცს. მარტის 15-ს მტკვარმა ეს ხიდიც აბარგა და სადაც თავისი ნებაა, იქ გამორეკავს. ხიდის წაღებამ არამც თუ მარტო ტოლოშელები, არამედ მთლად ახალციხის ნახევარი მაზრა: ლეპისისა და ურავლის საზოგადოება დიდად დააღონა. ეს ხიდი ერთად ერთი გზა არის აქედგან ახალქალაქში მიმავლისათვის, ასე რომ, ვისაც ტყეში ან ახალქალაქში წასვლა მოუნდება, ან უნდა მუსხის, ლომანბეგის ხიდებზედ მოუაროს (ამათი გზა თითქმის ერთი-ორად უგრძელდებათ), ან არა-და უცადოს, ვიდრე თიბათვეში წყალი ჩამოჯდება და ხერთვისის მამასახლისის თაოსნობით მტკვარზედ ხის ხიდს გადააყუნტებენ. 1899 წელს გაზეთს „ივერიაში“ ამოვიკითხე, რომ მთავრობას გარდაუწყვეტია, თუ, არ ვიცი, აზრადა აქვსო, ახალციხის მაზრაში სამი ხიდი გამართონ: აწყურსა, მუსხსა და ხერთვისშიო. მაგრამ ეს ხმები როგორღაც მიჩუმდნენ. როდის იქნება, რომ ამ ადგილს ხიდი ეღირსოს, არ ვიცით! ამ საქმეში, ვგონებ, ადგილობრივს ადმინისტრაციას შეუძლიან რამე მალამო დასდოს ხალხს, მაგრამ ყურადღებას, ეტყობა, არავინ აქცევს.

სხვათა შორის, სოფ. ტოლოშში სთესავენ ყველა ბოსტნეულს, რომელთა შორისაც შესანიშნავია აქაური კარტოფილი, შერეული ხმეცურთან. ისეთი გლეხი არ იქნება აქ, რომ 5 და 10 სომარი (სომარი 18 ფუთია) კარტოფილი არ მოუვიდეს წელიწადში, და კარგს ფასშიაც არ გაყიდოს, რადგანაც ახალციხისა და ახალქალაქის ბაზრებში ამ კარტოფილს პირველი ადგილი უჭირავს. ხვნა-თესვას მარტო ქართველები მისდევენ, თათრებს კი თუთუნის თესვა უფრო აქვთ ხელობათ გადაქცეული. ამ სოფელში თითქმის 35 წელიწადია ერთკლასიანი სკოლა არსებობს, რომელიც „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ ხარჯით ინახება. როგორც სჩანს, სკოლას
უფრო მოუტანია და
ქართველმა ქართულ-რუსული
იცის და პატარები 7 წლის შემდ
უშველად სკოლაში დადიან. სხ
აქაურმა ქართველებმა სწავლის სარ
ლობა შეიგნეს, მაგრამ 13 კომლ
თარში კი მარტო ერთმა დიდმა
რუსულ-ქართული წერა-კითხვა და პ
რებიც ცოტანი დადიან სკოლაში (
შეგირდში თათარი 11-ა), მეტადრ
ამ ორი-სამის წლის განმავლობაშ
რადგანაც ერთს ფანატიკოსს მო
აქეც გაუმართავს ჩუმი სკოლა და,
რდა ამისა, სკოლაში აღარ მოდიან
გირდები იმიტომ, რომ ეს სკოლა, რ
გორც თვითონ შემოიღეს, „ზაკონ
ჟისაა“. ეს სახელი, როგორც ქარ
ველები ამბობენ, თვით სკოლის მ
მოკეთეს გაუვრცელებია ხალხში, რ
ამითი თავისი პირადი დამოკიდებულ
და სარგებლობა თათრების წარმომად
ნელ ბეგებთან უფრო გაუმტკიცებია.

წერილი უკვე დაწერილი მქონდ
რომ სოფელში ხმა გავარდა, პარასკ
სადამოს 7 საათზე, 16 მარტს, შ
მული ბაიბურთლის ტუის-მცველმა, სო
ფანაქეთში მცხოვრებმა ორთაჯ ასან
ლიმ ხანჯლით მოკლა სოფ. ურია
ოღლის (ურიადარის) მცხოვრები
მალ აფას ოღლით, მაგრამ მიზეზი
უფოფილა, ჯერ კარგად არ ვიცით. ის
გაგებული გვაქვს, რომ ქმალა ა
ოღლი მეძლებული, საკმაო სქონებ
მოვაჭრე იყო.

გიგო შატბერაშვილი

კავკასიის მომავალი საიუბილ
სასოფლო-სამეურნეო და სამ
წელო გამოფენა *)

განყოფილება მე-VIII. ნაწარმოებნი მ
ძეობისა და საქონლის მოვლა-მ
ნების.

ა) მერძეობის ნაწარმოებნი.

ჯგუფი 1. რძე, კარაქი, ხაჭო,
წონი და სხვა.

---

*) იხ. „ივერია“ № 79.

ფელეტონი

ახალი სამკურნალო საშუალება — ორგანოთერაპია.

(დასასრული *)

ეხლა ის არის გასაგები, თუ რა დანიშნულებას ასრულებენ ეს სისხლში გარდასული ნივთიერებანი. ამის გამოსარკვევად საჭიროა მოკლედ გავიხსენოთ ამ ოცის წლის წინად ბუხარდისა და გოტიეს მიერ შემუშავებული სწავლა სხეულის აუტოინტოქსიკაციისა ანუ თვით მოწამლვის შესახებ. იმათის აზრით, სხეული წარმოადგენს სხვა-და-სხვა ნაირად შეცვლილ უჯრედთა კომპლექსს ანუ გროვას, ყოველს უჯრედს, რადგან კვება სჭირია, მოსდის უმთავრესის სისხლის მილიდგან წვრილი მილი, რომელსაც მოაქვს სისხლი და მასში გახსნილი ყველა საჭირო ნივთიერებანი, მილი სისხლისა უჯრედის გარშემო დაიყოფება და, როგორც ქსელი, ისე შემოეხვევა; ზოგიერთ ნაკადულს შიგნითაც გაუგდებს; უჯრედი, რასაკვირველია, როგორც ცოცხალი არსება, მიიღებს-რა საზრდოს, გამოაგდებს გარეთ უვარგის, გაფუჭებულ ნივთიერებათ[5], რომელნიც მოიყრიან თავს უჯრედსა და უჯრედს შუა დარჩენილ სრუტეში; ეს სრუტეები ერთმანეთს უერთდებიან, შემდეგ ჰბადავენ ეგრედ წოდებულ გასატან ლიმფატიურ მილებს, რომლებითაც ეს მავნე ნივთიერებანი განვლიან ანუ განიგდებიან; ხოლო ვიდრე სხეულიდგან მთლად განიგდებოდნენ ეს ნივთიერებანი გაივლიან სისხლთან შეერთების შემდეგ სხვა-და-სხვა ორგანოს (ღვიძლს, ელენთას და ყველა ზემო ჩამოთვლილ ჯირკვლებს), სადაც იგინი ქიმიურს სახეს შეიცვლიან და ამ გვარად მავნე ნივთიერებებიდგან გარდაიქცევიან სხეულისთვის უვნებელ ნივთიერებად და შემდეგ სხვა და-სხვა გამომტან ორგანოთა საშუალებით (თირკმელები, კანი, ფილტვები) გაჰშორდებიან სხეულს.

გოტიემ ამ მავნე ნივთიერებათ უწოდა საზოგადო სახელი — ლეიკომაინები; ამათის მოგროვებით სხეული იწამლება, ანუ, როგორც მათ დაარქვეს, მოხდება აუტოინტოქსიკაცია სხეულისა. ხოლო მათი განელება, გათახსირება ჰხდება ზემორე ჩამოთვლილ ორგანოთა მიერ შემუშავებულ სპერმინით. მაშასადამე, ყველა ზემორე ჩამოთვლილ უკარო ორგანოთა პირდაპირი დანიშნულება ყოფილა შემუშავება იმისთანა ნივთიერებისა, რომელიც ლეიკომინებს ანელებს და სხეულს ამით იცავს და იფარავს აუტოინტოქსიკაციისაგან, ანუ თვით მოწამვლისაგან[6]. რომ მართლა საღს სხეულში მუდამ იბადებიან შხამიანნი სხეულნი — ლეიკომანები — ეს ექსპერიმენტალურად, ცდით დაამტკიცეს გოტიემავე, ბუხარდმა და კიდევ სხვებმა. ამათ გამოიკვლიეს სისხლი, ნერწყვი, შარდი, ნაღველი და სხვა სითხეები საღის სხეულისა და ყველა ესენი გესლიანნი აღმოჩნდნენ. ამას გარდა, შეშხაპუნება ამ სითხეებისა კანს ქვეშ საღს ცხოველს სიცოცხლეს ასალმებს. ადამიანის მიერ დაკბენილი ჭრილობა, თარხნიშვილის აზრით, ძნელი მოსარჩენია, რადგან ამ დროს გადადის სისხლში გესლი ნერწყვთან ერთად. რომ თვით უჯრედები ამზადებენ ლეიკომაინებს და არა გარედგან გადადის ეს თესლი სხეულში, ეს დაამტკიცა გოტიემ ერთ უჯრედიან ანუ მარტივ ცხოველებით. აიღო მან დუღილის ფერმენტი — სოკო[7], გააშენა იგი უწყებულს საზრდოზედ და მიანება თავი. პირველს ხანს სოკო გაიზარდა, გაშენდა, ხოლო რამდენისამე დღის შემდეგ შეჩერდა მისი ზრდა და ბოლოს მთლად გასწყდა, რადგან საზრდომ შთანთქა და გაამრავლა თვისს გარშემო ლეიკომანები. ამისთანავე მოვლენას ვხედავთ ღვინის დუღილის დროსაც; დუღილი სწარმოებს მხოლოდ მაშინ, ვიდრე სპირტი (ესეც თავისებური ლეიკომაინია ღვინის დედისა) არ დაბადებულა, რაკი იგი გამრავლდება, ღვინის დედაც ძალასა ჰკარგავს, კვდება.

ამ სახით, ჩვენ ეხლა ვიცით, რომ საღს სხეულში იბადებიან გესლიანი სხეულნი — ლეიკომაინები — და რომ ამათ წინააღმდეგ საბრძოლველად სხეულივე შეიარაღებულია სხვა და-სხვა კარიან და უკარო ჯირკვალ ორგანოებით, რომ ამათი დანიშნულება შემუშავება სპერმინისა და მის მსგავსს ფერმენტთა, რომელნიც ანელებენ გესლიან სხეულებს და ამით იფარავენ საღს სხეულს აუტოინტოქსიკაციისაგან, ანუ თვით მოწამვლისაგან.

ახლა ვნახოთ, თუ რაში მდგომარეობს, ან როგორ გამოიხატება ეს მავნე გესლიან სხეულთა დანელება. ზემოდ-დასახელებულმა მეცნიერებმა, გოტიემ და ბუხარდმა, გამოიკვლიეს ქიმიური ბუნება ლეიკომაინებისა და იმ დასკვნას დაადგნენ, რომ ლეიკომაინები წარმოადგენენ მცირედ-დაჟანგრულს სხეულებს[8]. მცირედი ანუ
დაუმთავრებელი დაჟანგვრა-კი ჰქ
მათ მავნე, გესლიან სხეულებად.
დაუმთავრებლად დაჟანგრული სხე
ლები, რომლებიც იბადებიან სხეუ
ყველა უჯრედებში, როგორც შე
უჯრედის სიცოცხლისა, იკრიბებ
უჯრედსა და უჯრედს შუა დარ
ნილ სრუტეებში, და თუ იგინი
დევ არ შეუერთდნენ აქ მჟავბა
რომელიც სისხლს მოაქვს ფილტ
ბიდგან, მათი აქედგან გაძევება
ლი იქნება; დარჩენა მათი-კი, რ
გორც ვიცით, სწამლავს ადამიან

---

*) იხ. „ივერია“ № 79.

[5] ამას უწოდებენ ფიზიოლოგიაში „შემდეგს რეგრესიულის მეტამორფოზისას“.

[6] თვისება „შინაგანის სეკრეციისა“ შემდეგ მიაწერეს ფიზიოლოგებმა აგრეთვე კარიან ჯირკვლებსაც: თირკმლებს, ღვიძლს, კუჭის-ქვერე ჯირკვალს, იმ განსხვავებით კი, რომ იმათთვის იგი შეადგენს მეორე ხარისხოვანს საქმეს.

[7] მიკროსკოპის ანუ თვალმადიდის საშუალებით შეიძლება სოკოს დანახვა. იგი წარმოადგენს პაწია მრგვალ ბუშტებს და, როგორც ცოცხალი ერთ-უჯრედიანი არსება, კვებასა ჰსაჭიროებს.

[8] ქიმიაში დაჟანგვრა ჰნიშნავს შეერთებას მჟავბადისას (O) სხვა სხეულთან, მაგ. სპილენძის ჟანგარი ჰნიშნავს შეერთებას სპილენძისას (Cu) ჟანგბადთან და გამოიხატება ქიმიურის ფორმულით ასე CuO. შეერთება ნახშირბადისა (C) მ
მბადთან ჰბადავს გაზ-მაგვარს სხეულ
ნახშირბადის ჟანგარს Co, რომ
ლიც სხეულისთვის მოსაწამლია და გ
წვევს ეგრედ წოდებულ „უგარს“. თ
ნახშირბადს შეუერთდა ორი ნაწილი (
ლეგულა) მჟავბადისა, მაშინ დაიბადებ
ორე გვარი სხეული — ნახშირის სი
ვე Co^2, რომელსაც ჩვენ ყოველწა
მოვისუნთქავთ ფილტვებიდგან. შეიძ
სხეული მცირედ დაიჟანგროს ანუ მ
თღეს ერთ ნაწილს ჟანგბადისას და შ
ლება ძალიან დაიჟანგროს ანუ შეე
რამდენსამე ნაწილს ჟანგბადისას, სუ
რე დაჟანგვრიდგან უმაღლეს დაჟანგ
ანუ დაწვამდე რამდენიმე საშუალო
ხურია. ეს დაჟანგვრა ჩვენსა და ცხო
ბის სხეულში მეტად ფართოდ სწარმ
და ჟამისოდ სიცოცხლეც შეუძლებე
ნებოდა; მარტო ჩვენის ფილტვების
ალებით სისხლში გადადის 24 საათის
მავლობაში საშუალო რიცხვით 854 გ
მჟავბადი (დაახლოვებით 2½ გირვანქ
მაშასადამე, ადვილად შეგვიძლიან წ
ვიდგინოთ, თუ რა ზომამდე შეიძ
ჰხდებოდეს დაჟანგვრა სხეულში.

ჯგუფი 2. კუმისი, კეფირი და სხვა.

ჯგუფი 3. ერბო, ევროპიულად და კავკასიურად მომზადებული.

ჯგუფი 4. ყველი, ევროპიულად მომზადებული; თითო კვერეულზედ ნაკლები არ უნდა იყვეს.

ჯგუფი 5. ადგილობრივი ყველი, არა ნაკლებ 3 გირვანქისა ყველა ხარისხისა. ყველი შეიძლება იმ ჭურჭლით გამოიგზავნოს, რომელშიაც ინახება ხოლმე.

ჯგუფი 6. საღებავები ერბოსა და ყველისათვის და სხვა ნივთები, რომლებსაც ყველსა და ერბოს უმატებენ.

ჯგუფი 7. აწერილობანი კერძო კაცთა მეურნეობისა, სურათები, პლანები, მოდელები, ფერმები და სხვა. სამოვრების აწერილობანი. ამა თუ იმ სამოვრის მცენარეთა გერბარიები.

ჯგუფი 8. ის იარაღი და ნივთები, რომელსაც მერძეობაში ხმარობენ, წველისა, დღვებისა და სხვა დროს. სადღვებავები. ჭურჭელი, რომელსაც მერძეობის ნაწარმოების გადატანისა და შენახვის დროს ხმარობენ: კოდები, ყუთები, ჯოდები და სხვა.

ჯგუფი 9. რძის გამოსაკვლევად და საკონტროლოდ საჭირო პრიბორები.

შენიშვნა. 6—9 ჯგუფებში შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ რუსეთისა და უცხო-ქვეყნების ფირმებმა.

ბ) საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი.

ჯგუფი 10. მატყლი, ბეწვი, ჯაგარი, თმისა და აქლემის ბეწვი.

ჯგუფი 11. ქონი და გლემურძი.

ჯგუფი 12. ლორი და შაშხი შინაურ ცხოველებისა; ხორცის-კონსერვები: ყაურმა, აპუხტი და სხვა.

შენიშვნა. ის საქონელი, რომელიც მე-10, 11 და 12 ჯგუფებშია აღნიშნული, თვითეული 3 გირვანქაზედ ნაკლები არ უნდა გამოიგზავნოს.

განყოფილება მე-IX. მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.

ა) მეაბრეშუმეობა

ჯგუფი 1. აბრეშუმის ჭიის გამოკვების დროს საჭირო იარაღი და მოწყობილებანი.

ჯგუფი 2. პარკი: გადარჩეული და გადაურჩეველი, გამხმარი.

ჯგუფი 3. ჭიის თესლი პარკებში პეპლებით და დამზადებული. თესლის გამოყვანის დროს საჭირო იარაღი და მოწყობილებანი.

ჯგუფი 4. ის იარაღი და მოწყობილებანი, რომელსაც პარკის გახმობის, გადარჩევის და ჩაწყობის დროს ხმარობენ.

ჯგუფი 5. აბრეშუმი: თვით მეაბრეშუმეების მიერ ნახვევი ხელით სამუშავებელ აბრეშუმის სახვევზედ და ქარხანაში დამზადებული აბრეშუმის დახვევის დროს საჭირო იარაღი და მოწყობილებანი. აბრეშუმის ნახვევის ნარჩენი.

ჯგუფი 6. დაგრეხილი აბრეშუმის ძაფი: შინაურის საშუალებით და ქარხანაში ნაგრეხი. აბრეშუმის ძაფის დაგრეხის დროს საჭირო იარაღი და მოწყობილებანი.

ჯგუფი 7. აბრეშუმის ძაფი საკერავად და საქსოვად მომზადებული. საჭირო იარაღი და მოწყობილებანი.

ჯგუფი 8. აბრეშუმის შეღებვა: აბრეშუმი შინა-მრეწველობის მიერ და სამრეწველო დაწესებულებებში შეღებილი. საღებავები; იარაღი და მოწყობილება, რომელსაც შეღებვის დროს ხმარობენ.

ჯგუფი 9. მეაბრეშუმეობის კოლლექციები, სურათები, თხუზულებანი, სახელმძღვანელოები და სხვა.

ჯგუფი 10. აბრეშუმის საქსოვი მრეწველობა.

ბ) მეფუტკრეობა.

ჯგუფი 1. სკები და მოწყობილებანი. ხელოვნური ფიჭა და იმის მომზადება.

ჯგუფი 2. თაფლი, ფიჭა და სხვა.

ჯგუფი 3. თაფლიან მცენარეთა გერბორიები. იმ მცენარეთა გერბორიები, რომელთაგანაც სახმარებლად მავნებელი თაფლი მზადდება. კოლლექციები, სურათები, თხუზულებანი, პრეპარატები და სხვა.

ჯგუფი 4. ფუტკრის სხვა და სხვა სენი და მავნებელი მწერები.

(შემდეგი იქნება)

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. პრეზიდენტი შტეინი, რომლის ჯანმრთელობაც ძლიერ არის ამ ბოლოს დროს შერყეული, ამ ჟამად ტაბანბურგში იმყოფება.

ინგლისის ყველა გაზეთები ამ ბოლოს დროს დიდად დაიმედებულნი არიან, რომ გამარჯვება იმათია და სამხრეთ-აფრიკის ომი სულ ერთს თვეზედ გათავდება. „Times“-ს ატყობინებენ პრეტორიიდგან, რომ ბურების ჯარი ერთობ მოქანცულია და ზამთრის გამო მოქმედება დიდად უძნელდებათ. ეხლა მხოლოდ იმისი შიში-და აქვთ, რომ ბურების მხნეობამ უკანასკნელად არ იფეთქოს და ბოტასა და დევეტის შეერთებული ჯარი იოჰანნესბურგს თავს არ დაესხას.

— პრეზიდენტის კრიუგერის მდივანმა ვან-ბოშუტენმა განაცხადა „Nico we Rotterdamer Courant“-ში, რომ კრიუგერი სრულიად წინააღმდეგია ბოტასა და კიტჩენერს შორის ახალის მოლაპარაკებისა. „ჩვენი დევიზით, უთქვამს მას, ის არის, რომ თუ თავისუფლებას ვერ ვედირსებით, მშვიდობიანობაც შეუძლებელია“.

— შალკ-ბურგერს თავისი რეზიდენცია ტროტსბურგში გადაუტანია. ეს ადგილი ბურების რაზმებისათვის იმ თავითვე უმთავრეს დეპოთ ითვლებოდა.

ინგლისელების მიერ პიტერსბურგის დაჭერის შემდეგ კომენდანტის ბეიერის უფროსობით ბურების რაზმი გინერსბურგში წავიდა და თან წაიღო, სხვათა შორის, ცნობილი „გრძელი ტომი“, რომელიც ინგლისელებმა მრავალჯერ დაუმტვრიეს ბურებსა, მაგრამ რადაც მანქანებით მაინც დღემდის მრთელი თურმე.

— „Westminster Gazette“ სწერს, რომ ინგლისის მთავრობა ამ ჟამად დიდად თურმე დაფიქრებულია იმისა გამო, რომ არ იცის ტყვე ბურებს რა უყოს: წმ. ელენეს კუნძული და ცეილონი ამ ჟამად ტყვეებით მთლად სავსეა და ინდოეთის ახალი სადგურებიც აღარა ჰკმაფნის თურმე. კანადის რკინის გზის ამხანაგობის წინადადებას კიდევ, რომ ტყვე ბურები კანადაში გადაასახლებინათ, ინგლისის ოფიციალური წრეები და ინგლისის საზოგადოება თანაგრძნობით არ შეეგებნენ. ერთის სიტყვით, ინგლისმა დღემდის არ იცის ტყვე ბურებს რა უყოს, სად დაასახლოს.

ჩინეთი. როგორც „Weekly Despatch“ იუწყება, ვაშინგტონის მთავრობას მიუმართავს ამ დღეებში ყველა თავისს წარმომადგენლებისათვის საზღვარ გარეთ, რომ იგი არაფრის გულისათვის არ დასთანხმდება 40 მილიონ გირვანქა სტერლინგზედ მეტი სამხედრო საზღაური შეაწერონ ჩინეთს, რადგანაც დიდად საეჭვოა ამაზედ მეტის გარდახდა შეიძლოს ჩინეთმა. თუ რომ სახელმწიფონი ამ თანხას არ იკმარებენ და მეტის თხოვნას დაიწყებენ, მაშინ ჩინეთთან მოლაპარაკებაში ევროპის სახელმწიფოებთან ამერიკა მონაწილეობას აღარ მიიღებს და თავისის თავის დაკმაყოფილებას განსაკუთრებულის ცალკე მოლაპარაკებით ეცდებათ. საზღაური ჩინეთმა ოქროთი უნდა გადიხადოს. ხელშეუხებლობა ჩინეთის იმპერიისა უზრუნველ ყოფილი უნდა იქმნეს. თუ რომ ევროპის სახელმწიფონი ამ წინადადებას არ შეუერთდებიან, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები გააგის საერთაშორისო სამედიატორო სამართალს მიჰმართავენო. ამავე შინაარსის დეპეშები გაეგზავნებათ ყველა სახელმწიფოთა მთავრობათ, რომლებიც-კი ამ ჟამად ჩინეთის საქმეში მონაწილეობას იღებენო.

— მართალი თურმე ის გარემოება, რომ ინგლისსა და გერმანიას შორის სამხედრო საზღაურის რაოდენობის შესახებ წინააღმდეგობას უჩენია თავი; ამას ამტკიცებს „Times“-ის მტრული კილო გერმანიის მოთხოვნილების შესახებ. აი, იგი რასა სწერს:

„საყურადღებოა ვიცოდეთ, გერმანია 70 მილიონ დოლლარს რატომ თხოულობს. თუ გავიხსენებთ იმას, რომ სამხედრო ორგანიზაციის საქმეში გერმანიამ ერთობ დიდი დაზოგვა გამოიჩინა და ინგლისმაც გერმანიას მეგობრობით ნახშირი შედავათიანი პირობებით გადუზიდა და ჯარი გადაურეკა, მაშინ, ეჭვი არ არის, განსაცვიფრებლად უნდა დაგვრჩეს, რომ თუნდაც იმის ნახევარზედ მეტი დაჰხარჯოდეს გერმანიასა, რასაც ეხლა თხოულობს. ხოლო, თუ ამ ექსპედიციამ იქამდის დაამძიმა გერმანიის ხარჯთ აღრიცხვა, რომ საჭირო შეიქმნა ერთი ათად მეტი სარგებელი აეღო დანახარჯის დასაფარად, მაშინ ცხადია, ტრანსვაალის ომისთანა შემთხვევა გერმანიას სრულიად გაადატაკებდა. ან იქნება გერმანია კეტტელერის მოკვლისათვის აჯარიმებს ჩინეთსა? თუ ასეა, ეჭვი არ არის, ამისი უფლება აქვს და ვერც თუ ვინმე გამოსწორავს, მაგრამ სანანურადა და სამწუხაროდ დაგვრჩებოდა, ჩვენს ქვეყანასაც რომ თვისი პატრონნება ასე დაეფასებინათ“!

სასამართლოს მატიანე

გუშინ, 12 აპრილს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის

სიცოცხლეს. აი, სწორედ სპერმინი და მის მაგვარი ფერმენტები (აქ უწევენ შემწეობას სხეულს. თუ ზემორე ჩამოთვლილმა ჯირკვლებმა საკმაოდ მოამზადეს იგი და სისხლში გადიტანეს, მაშინ აღარა უჭირს რა, სხეული მალე განთავისუფლდება მათგან; ლეიკომაინებს მთლად დაჰჟანგრავს ანუ დასწვავს და გარდააქცევს უვნებელ სხეულებად (როგორიც არის შარდივანი, შარდივანის სიმჟავე, ნახშირის სიმჟავე), რომლებიც სხვა და სხვა გზით (ფილტვებისა, კანისა და თირკმელების საშუალებით) გაჰმორდებიან სხეულს; მაგრამ, თუ მეორე მხრივ, რაიმე მიზეზისა-გამო (დაკოდვით, ამოჭრით, ანუ დავადებით) ხსენებულმა ორგანოებმა ვერ დაამზადეს საკმარისი ფერმენტი, მაშინ სხეულს უსათუოდ დიდი განსაცდელი მოელის თვით მოწამვლისაგან.

სპერმინის დამჟანგველი თვისება რომ ნამდვილია და არა ნაყოფი მარტო ოცნებისა, ეს მეტად თვალსაჩინოდ დაამტკიცა პეტერბურგის პროფესორმა პელმა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ სპერმინი თავად-კი არა ჰჟანგრავს ლეიკომაინებს სხეულში, არამედ იგი აძლიერებს დამჟანგველ თვისებას სისხლისას; ასე რომ, მისის აზრით, სისხლის დამჟანგველი თვისება სპერმინთან ერთად გაცხოველებულია, უსპერმ ნოდ-კი დასუსტებულია. აი, მის-მიერ მოხდენილი ცდა: სხეულიდგან ახლად გამოშვებული სისხლი, რომელიც მალე ჰკარგავს დამჟანგველს თვისებას, მიუმატა პაწია შუშის ჭურჭელში ჩაყენებულს ხსნილს ადვილად დასაჟანგველ ნივთიერებისას; ნივთიერება არ დაიჟანგრა; ეს მოხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიუმატა მცირეოდენი სპერმინი. დამჟანგვის გაძლიერების გარდა, სპერმინსა აქვს კიდევ თვისება გააძლიეროს სხეულში მუდამ-წარმოებული ნივთიერებათა აღებ მიცემობა. ეს-კი ჰნიშნავს შემდეგს: სპერმინის მიღებით [9] ავადმყოფს უძლიერდება მადა და შეძლება ეძლევა მეტი საკვები მიიღოს ჩვეულებრივზედ და ამასთანავე მეტს უვარგისს ნივთიერებას ამოისუნთქავს და განაგდებს; ეს გარემოება კი თავისის მხრივ გვამცნევს, რომ სხეულის ყველა ორგანო, ყველა უჯრედი ჰმუშაობს და წესიერად ასრულებენ თავის დანიშნულებას.

სპერმინს სხეულისათვის აი რა მნიშვნელობა ჰქონია კიდევ; ი. რ. თარხნიშვილმა 1890 წელს მოახდინა შესანიშნავი ცდა ბაყაყებსა, ძაღლებსა, ზღვის ღორებსა და ფრინველებზედ ქლორო ფორმი ანუ ბანგი, რომელიც აძინებს ადამიანს და ცხოველებს და იხმარება დოსტაქრობის დროს, სრულიად ჰკარგავს ძალას, თუ იმავე დროს სპერმინი შეუშხაპუნეთ კანს ქვეშ; არის კიდევ ერთგვარი გესლი კურარე, რომელიც რამდენსამე წუთში ალევინებს სულს ცხოველს, მაგრამ როდესაც თარხნიშვილი სპერმინს შეაშხაპუნებდა, კურარე უფრო ნაკლებად ჰმოქმედებდა სხეულზედ. ეს და კიდევ მრავალი ამგვარი ცდა, რომელიც პატივცემულმა პროფესორმა მოახდინა თავისს ლაბორატორიაში, მჭევრ მეტყველად ჰლაღადებს იმას, რომ სპერმინი ადამიანის სხეულში ბრძოლას უწევს გარედგან შესულს გესლიანს სხეულებს და თუ მთლად არ შეუძლიან დაფარვა ადამიანისა მათ მოწამვლისაგან, ასუსტებს, ძალას მაინც ართმევს ამათ ცოტად თუ ბევრად. თ. ვ. თარხნიშვილმავე სცადა ჭრილობის მორჩენა ძაღლებისა ორს ობიექტზედ: ერთს მათგანს არჩენდა სპერმინის კანის ქვეშ შეშხაპუნებით, ხოლო მეორეს — იმავე წესით, ხოლო სპერმინს არ უშხაპუნებდა. აი რა შედეგი მიიღო: პირველს მალე გაუმთელდა ჭრილობა, მაშინ როდესაც მეორე ობიექტს მარტო ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი სრულ გამთელებამდე. აშკარაა აქედგან, რომ სპერმინი სხეულს ძალასა ჰმატებს.

რაკი ჩვენ ცოტად თუ ბევრად გავითვალისწინეთ სპერმინის სხეულზედ მოქმედების საიდუმლო, ახლა-კი ადვილად შეგვიძლიან ავხსნათ მისი შესანიშნი გავრცელება მკურნალობაში. რა ავადმყოფობა გსურთ, რომ სპერმინი არ იხმარებოდეს: უსისხლობა, ჭლექი, სახადი, რახიტიზმი (ძვლების სირბილე), კანის ავადმყოფობანი, სურავანდი, ნერვების აშლა, ბნედა, სიდამბლე, გულის, ფილტვების და თირკმელების ავადმყოფობანი, მოწამლვა, ლოთობა, წითელი ქარი, სიფილისი, ხორველა და სხ. თუმცა ჩამოთვლილი ავადმყოფობანი სხვა-და-სხვა ნაირია, მაგრამ ყველა-კი ერთნაირს შედეგს გამოიწვევს ადამიანის და ცხოველების სხეულში. საქმე ის არის, რომ ერთის რომელისამე ნაწილის ან ორგანოს მოშლა ისეთს რთულს მანქანაში, როგორიც არის ჩვენი სხეული, ასეთსავე მოშლას გამოიწვევს დანარჩენ ორგანოებშიაც, რადგან ორგანოები ფრიად მჭიდროდ არიან ერთმანერთთან შეკავშირებულნი. ვთქვათ, მოიშალა რაიმე მიზეზის-გამო მოქმედება ანუ დანიშნულება ფილტვებისა, ამას მოჰყვება მჟავბადის ნაკლებულობა სისხლში, ხოლო ეს გარემოება შეასუსტებს დაჟანგვრას უჯრედებისას, ამას თავისის მხრივ სხეულში დაუმთავრებლად დაჟანგრულ სხეულთა (ლეიკომაინები) გამრავლება მოჰყვება. ამისი შედეგი-კი იქნება თვით მოწამლვა სხეულისა და სიკვდილი. ერთის სიტყვით, არაა არც ერთი ავადმყოფობა, რომ მას არ მოსდევდეს თან დაჟანგვრის პროცესსის შესუსტება, გამრავლება სხეულში ლეიკომაინებისა, ძალ-ღონის შემცირება და ნივთიერებათა აღებ მიცემობის შეფერხება, და ყველა ამ მოვლენის წინააღმდეგ-კი სპერმინი იბრძვის, როგორც ჩვენ დავინახეთ ზემორე მოყვანილ სიტყვებიდგან. აი, რითი აიხსნება ზოგადი ხასიათი ამ სამკურნალო საშუალებისა, რომელსაც მის შემომღებმა ბრუონ სეკარმა შეცდომით, თუმცა არა უსაფუძვლოდ, უწოდა სიცოცხლის განმაგრძობი და სიბერის წინააღმდეგი ესსენცია.

ამ სახით დღევანდელი მეცნიერება სპერმინისა და საზოგადოდ ორგანოტერაპიის შესახებ შემდეგს აზრს დაადგა: სპერმინი არის ერთი იმ ფერმენტთაგანი, რომლებსაც შინაგანი ორგანო ჯირკვლები ამზადებენ ა) მავნე ნივთიერებათა დასანელებლად, რომლებიც ან სხეულში იბადებიან (ლეიკომაინები), ან გარედგან შედიან (ტოქსინები), ბ) სხეულისათვის ძალ-ღონის მოსამატებლად და გ) ნივთიერებათა აღებ მიცემობის გასაძლიერებლად; ამიტომ მისი შემცირება შინაგან-ორგანოთა ამოცლის ან დაავადების გამო იწვევს სხეულის მოძლურებას, მოდუნებასა და ბოლოს სიკვდილს, ხოლო მისი ხელოვნურად გამოცალკევება და დანიშვნა ავადმყოფთათვის, როგორც გონივრულის წამლისა, აღადგენს ყველა შესუსტებულ ფიზიოლოგიურს პროცესს და ჰკურნავს ადამიანს სხვა-და-სხვა სენისაგან.

მ. მირ—ლი

---

[9] მკურნალები ორგვარად უნიშნავენ სპერმინს ავადმყოფებს, ან ასმევენ და ან კანის ქვეშ უშხაპუნებენ.

პირველმა განყოფილებამ განიხილა საქმე გორის მაზრის სოფ. მოგუთის მცხოვრების ივანე თედორეს ძის გალდავანიშვილისა და სოფ. რუსთავის მცხოვრების დათა ტატოს ძე ტატოშვილისა, რომელთაც სახლის გატეხა და ქურდობის ჩადენა ჰბრალდებოდათ; ხოლო გორისავე მაზრის სოფ. თორმადგვის მცხოვრებს იორამ დევანის ძეს ვალიშვილსა და სოფ. გომისა ნინო ანდრიას ასულს ბერიაშვილს ზემოდ აღნიშნულ ბრალდებულთაგან მოპარული ნივთების დამალვა. საქმის გარემოება შემდეგია. ამა წლის 24 იანვარს გალდვანიშვილსა და ტატოშვილს ნაძალადევში გაუტეხიათ ბინა ნიკოლოზ გაბელაშვილისა, სარდიონ ნოზაძისა, სიმონ სიდომონიძის და ივანე ფუხაშვილისა, საიდგანაც გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები სულ 282 მან. ღირებულობისა; პირველად ქურდები ვერ აღმოუჩენიათ; ხოლო 2 თებერვალს ალიბეგოვის სახლში პრიუტის ქუჩაზედ მცხოვრებს დათა დიცოშვილს გაუგზავნია თავისი ბიძაშვილი ივანე ფუხაშვილთან და შეუტყობინებია, რომ გალდვანიშვილმა და ტატოშვილმა მომიტანეს შესანახად რაღაც ნივთებიო. ფუხაშვილი, როდესაც მისულა დიცოშვილისას და გაუსინჯავს მიბარებული ნივთები, რამდენიმე თავის დაკარგულ ნივთებადაც უცვნია. იმავე ფუხაშვილისათვის დიცოშვილს უთქვამს, ამ ნივთების მომბარებელთ მითხრეს, რომ დანარჩენი ნივთები გალდვანიშვილის ამხანაგს მზარეულს იორამ ვალიშვილს მივაბარეთო. ფუხაშვილი მაშინვე პოლიციელებთან ერთად წასულა ვალიშვილისას; გამოუხედნია ნინო ბერიაშვილს და როცა პოლიციელი შეუნიშნავს, უცბად კარები გამოუხურავს, შემდეგ წასულა და მიბარებული ნივთები კიბეს ქვეშ შეუმალავს; პოლიციელებმა მაინც მიაგნეს ამ ნივთებს. ამას გარდა ვალიშვილის ყუთში იპოვნეს ერთი ჩოხა, ახალუხი და ვერცხლის საათი. ბრალდებულთაგანს ტატოშვილს გამომძიებელთან განუცხადებია, რომ იანვრის დამდეგს სოფელში წავედი და ამ ქურდობისა არა ვიცირაო; ხოლო გალდვანიშვილს-კი უთქვამს, რომ მე თითონ მონაწილეობა არ მიმიღია ქურდობის ჩადენაში, თუმცა-კი განვაზრახე ტატოშვილიო; არც დანარჩენ ბრალდებულთ უღიარებიათ თავი დამნაშავედ. ბრალდებულის ამხანაგმა გალდვანიშვილისა და ტატოშვილის შესახებ ითხოვა, რომ ისინი დამნაშავეთ ეცნოთ და დაესაჯად. ხოლო ვალიშვილი, რადგანაც დამტკიცებული არ არის, რომ მას ამ ქურდობის რამე სცოდნოდეს, გამართლებინად. გალდვანიშვილის ვექილმა მელიქნუბაროვმა ითხოვა, რომ ჩემი კლიენტი, როგორც უბრალო ქურდობის ჩამდენი, ისე დასისჯოსო; ვექილმა ურდინოვმა ტატოშვილის გამართლება მოითხოვა; ვალიშვილს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ-ნი რცხილაძე, რომელმაც განაცხადა, რომ, რადგანაც საქმიდგან არა სჩანს, რომ ვალიშვილს ამ ქურდობისა რამე სცოდნოდეს, რაც ბრალმდებლის ამხანაგმაც აღიარა, ვთხოვ სასამართლოს, იგი გამართლებულ იქმნესო. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო გალდვანიშვილი და ტატოშვილი აღნიშნულს ბრალდებაში და გარდაუწყვიტა ზოგიერთ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $2^{1}/_{2}$ წლის ვადით გაგზავნა; ვალიშვილს კი გარდაუწყვიტა $1^{1}/_{2}$ თვით საპყრობილეში დაპატიმრება. ნინო ბერიაშვილის შესახებ საქმე გადაიდო, რადგანაც იგი სასამართლოში არ გამოცხადდა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

მეწყერი მარტო რაჭაში არა სცოდნია. იტალიაში, მაგალითად, 8 მარტს, მთელი ერთი სოფელი დაღუპულა მეწყერისაგან. ეს სოფელი, სახელად ვაგლიო, 880 მეტრის სიმაღლეზედ მდებარეობდა; სცხოვრობდა იქ 900 სული. ოთხშაბათს, 8 მარტს, ნაშუადღევის ესე სამ საათზედ ადგილობრივ მღვდელს, ფანჯარასთან მჯდომს, მიწის ძვრა უგრძვნია; გაკვირვებულს ფანჯარაში გაუხედნია და დაუნახავს, რომ იქვე, მახლობლად ეკლესია ირყეოდა და ქვემოდ მდინარესაკენ ნელ-ნელა მიცურავდა. შეშფოთებული გარედ გამოვარდნილა, სოფლელებისათვის დაუძახნია და ყველაფერი გამოუცხადებია. ეკლესია ისევ ისე დინჯად მიცურავდა თურმე ქვემოდ. მალე საშინელი ხმაურობა მოისმა: მთელი სოფელი შეირყა; სახლები ინგრეოდა და ეკლესიასავით ქვემოთკენ მიცურავდა. სახლებთან ერთად ნიადაგიც მიცურავდა. შეშინებული სოფლელები მინდორში შექუჩებულან. სალამოზედ მიწის მოძრაობა შეჩერებულა, მაგრამ მცხოვრებთ მთელი ღამე მაინც მინდორში გაუტარებიათ. მეორე დღეს მეწყერს უმატნია: სახლები სულ ერთიან დანგრეულა და ნიადაგთან ერთად მდინარემდე ჩაცურებულან; ამავე დროს შეგუბებული მდინარე ნაპირებიდგან გადმოვარდნილა. მესამე დღეს მთელი ველი ტბას წარმოადგენდა და სოფელ ვაგლიოს კვალიც-კი აღარსად სჩანდა. ამ უბედურების დროს არც ერთი კაცი არ დაღუპულა.

* * *

პერუში (სამხრეთ ამერიკაშია) ერთ ყმაწვილ კაცს, იმ ექსპედიციის წევრს, რომელიც უიალდში ყოფილა, აღმოუჩენია მთაში ერთგვარი ხე, რომელიც მშვენიერ აბრეშუმს იძლევა თურმე. ხე ნაყოფსაც იძლევა, რომელიც გემოთი მეტად გემრიელი ყოფილა.

* * *

ჯერ კიდევ აუარებელი ხალხი სახლდება ევროპიდგან სამხრეთ ამერიკაში. მარტო წარსულ იანვარს 7,854 კაცი გადასახლებულა ევროპიდგან. რუსეთიდგან 212 კაცი წასულა. უმრავლესობას თან ფული აქვს, რის გამოც შეუძლიანთ თავიანთ ნებით აარჩიონ ადგილი და მოეწყონ. 172 კაცმა, რუსეთიდგან გადასახლებულმა, უკვე მიიღო არგენტინის რესპუბლიკის ქვეშევრდომობა. ემმიგრანტთა შორის უმრავლესობას იტალიელნი შეადგენენ—5,059 კაცი, შემდეგ ესპანელნი—1,662, ფრანგები—345 კაცი. უკანასკნელის აღწერით ბრაზილიაში 18 მილიონი მცხოვრებია; სატახტო ქალაქ რიო-ჟანეიროში—793 ათასი მცხოვრებია. როგორც ბრაზილია, აგრეთვე სამხრეთ ამერიკის სხვა სახელმწიფოები ბუნებისაგან უხვად არიან დაჯილდოვებულნი; მეტად მდიდარია ეს კუთხე დედამიწისა სხვა-და-სხვა მადნებით.

* * *

საბერძნეთის მთავრობამ გადასწყვიტა, რომ საბერძნეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობის მისაღებად საჭიროა კაცმა მხოლოდ ორი წელიწადი იცხოვროს საბერძნეთში. 1899—1900 წელს მარტო იმ სომეხთა რიცხვი, რომელნიც ოსმალეთიდგან გაიქცნენ და საბერძნეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, 4,000 კაცს შეადგენდა.

* * *

როგორც ოსმალური გაზეთი „საბახი" გადმოგვცემს, კავკასიელი მაჰმადიანები ეხლაც ბლომად სახლდებიან ოსმალეთში. ამ გაზეთის კორესპონდენტს უნახავს სტამბოლში 400 ემიგრანტი, კავკასიიდგან გადასახლებული, და გამოუკითხნია გადასახლების მიზეზი. უმრავლესობას ის უთქვამს, რომ თუმცა რუსეთში რუსეთის მთავრობა კარგად გვექცევა და ისევე გვეპყრობა, როგორც ქრისტიანებს, მაგრამ სარწმუნოებრივი გრძნობა არ გვასვენებს და წმიდა ადგილებისაკენ გვასახლებსო. თვით სულთანის კარის-კაცნი და მოსამსახურენი მთლად კავკასიელნი არიან თურმე. მექქასა და მედინაში უფროსებად და მოხელეებად ჩერქეზები, ლეკები და ამიერ კავკასიელი თათრები არიან.

* * *

კანადა ვაშლის ვაჭრობის საქმეში ამ ბოლოს დროს მეტად დიდ მეტოქეობას უწევს შეერთებულ შტატებს. ძალიან ბევრ ვაშლსა ჰგზავნის კანადა ევროპაში. შარშან-წინ, მაგალითად, კანადიდგან ევროპაში გაიტანეს 60 მილიონი ფუთი ვაშლი. მაგრამ მთავარ ბაზარს კანადის ხილისას მაინც ნიუ-იორკი შეადგენს, სადაც ყოველ წელიწადს კანადა ასაღებს 315 მილიონ ფრანკის ხილს. ჰამბურგშიაც (გერმანიაში) დიდძალი ვაშლი და სხვა ხილი იგზავნება კანადიდგან.

* * *

საფრანგეთში არსებობს ეგრედ წოდებული ჰაერო-კლუბი, რომელსაც აზრად ისა აქვს, რომ ხელი შეუწყოს ჰაერში ფრენის საქმის განვითარებას. კლუბის ერთმა წევრმა ამას წინად შესწირა 40,000 მანეთი, ეს ფული უნდა მიეცეს იმ ჰაერონავტს, რომელიც ჰაეროსტატით თავისუფლად გაფრინდება და ნახევარის საათის შემდეგ იმ ადგილასვე დაეშვება, სადაც აფრინდა. თუ ხუთის წლის განმავლობაში (1905 წლის 15 აპრილამდე) პრემია ვერავინ მიიღო, ფული შემტანსვე დაუბრუნდება, ხოლო სარგებელი კლუბს დარჩება.

გამოსადეგი ცოდნა

ისე როგორ უნდა გაიგზავნოს შორს სადმე ხილი, რომ გზაზედ არ წახდეს.

ამერიკიდგან რომ ინგლისში ხილს გზავნიან, უფრო კი ვაშლებს, შემდეგს უბრალო საშუალებას ხმარობენ. ყუთებში ჩაწყობის დროს ყოველს ვაშლს (რასაკვირველია, სუფთასა და უნაკლო ხილს) სპირტში გახსნილ სალიცილის სიმჟავით გაჟღენთილს ქაღალდში ახვევენ და ისე აწყობენ. ეს თურმე სრულიად საკმარისია, რომ ვაშლებმა სიახლე, არომატი და გემო არ დაჰკარგონ.

დამჭკნარი თაიგული რა საშუალებით შეიძლება გამოაცოცხლოთ.

ყვავილების ღეროები სამი მეოთხედის სიგრძეზედ (ამაზედ ღრმად არ უნდა ჩაუშვათ) ადუღებულს წყალში უნდა ჩაუშვათ; დამჭკნარი და დამჩატებული ფოთლები ხელ ახლა გაშლება, გასწორდება; მაშინ უნდა ამოიღოთ და რა სიღრმეზედაც ადუღებულს წყალში იყო ჩაშვებული ღეროები, სულ დააჭრათ და აქედგან თაიგული ახალს ცივს წყალში ჩადგათ: ყვავილები სრულიად გამოცოცხლდებიან და პირვანდელი სიახლე დაუბრუნდებათ.

მძაღე ზეთი როგორ უნდა გაიწმინდოს.

თუ რომ მცენარეული (რომელიც უნდა იყოს) ზეთი ძალიან უსუფთაოა და მძაღე გემო დაჰკრავს, გასაწმენდად შემდეგი უბრალო საშუალება არსებობს. უნდა აიღოთ საშუალო ზომის კასრი, ძირი რგვლად გაუხვრიტოთ, დაუფინოთ ფლანელი, შემდეგ ზემოდგან წვრილდ ფხვნილი ნახშირი დააყაროთ ასე 2-3 ვერშოკის სისქეზედ და გასაწმენდი ზეთით გაავსოთ. როდესაც ზეთი ამ რიგად ნახშირში გაივლის, მეორედ ჩაასხათ ასეთსავე კასრში და ნახშირში გაატაროთ. ამის შემდეგ ზეთი სრულიად იწმინდება და მძაღე გემოც ეკარგება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 აპრილი

შანხაი. იმპერატორის ბრძანებით შესდგა კომიტეტი პრინცის ცინისა, ლიჩჯუანლინისა, ლიუკუნვისა და ჩჟანჯიდუნისაგან, პროვინციის გუბერნატორებისაგან მიღებულ რეფორმების შესახებ ქაღალდების გადასათვალიერებლად და ამ რეფორმებიდგან იმპერიისთვის უფრო საკეთილდღეო და უფრო საჭირო წინადადებათა ამოსარჩევად. რაწამს ამ კომიტეტისაგან მოხსენებას მიიღებს, იმპერატორი ქვრივ იმპერატრიცის თანხმობით განკარგულებას მოახდენს და ბრძანებას გასცემს, რომლითაც ძალაში შევა აღნიშნული ღონისძიებანი. შანხაის გაზეთები დასძენენ ამას, რომ ახალი დაწესებულება, სახელდობრ, სახელმწიფო საქმეთა მთავარი გამგეობა, დაარსებული იქმნება აწ უკვე გაუქმებულ სახელმწიფო საბჭოს ნაცვლად. იმპერატორის ბრძანებით იეიუნლინს ჩამოერთვა გუანსის გუბერნატორობა და მის ადგილას დაინიშნა ხაზინის კანცლერი ლეხინგსი.

ვენა. უმაღლესმა საკასაციო სასამართლომ არ შეიწყნარა საჩივარი გილსნერისა, რომელსაც ნაფიცთა სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა კაცის მკვლელობისათვის.

ვენა. ბოლგარიის მთავრობის განზრახვამ ვენის სადიპლომატო სააგენტოს გაუქმების შესახებ უკმაყოფილება გამოიწვია. ფიქრობენ, რომ სადიპლომატო მდივნის ადგილი მაინც იქნება დაცულიო.

ბერლინი. „Norddeutche Zeitung" ი სწერს: ზოგიერთს გაზეთში მოყვანილია ცნობები ახალ საიმპერიო საბაჟო ტარიფის შესახებ, რომელსაც ვითომც წარუდგენენ გერმანიის კავშირის ცალკე სახელმწიფოთა მთავრობებს. ჩვენ მონდობილი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ეს ცნობები სიცრუეა: საბაჟო ტარიფის პროექტი ამ ჟამად არავის წარუდგენია ცალკე სახელმწიფოთათვის.

ნაუპორტი. ამ ჟამად საქმეები გრააფრეინეტისა და სტრეინბურგის გარშემო სწარმოებს. ინგლისის რაზმი კრეიცინგერს მისდევს, მეორე რაზმი პირსტონის მახლობლად შიპერსისა და მალანის წინააღმდეგ მოქმედობს. მალანსა და ვიქტორიიდგან წამოსულ თავისუფალ მეომრებს შორის შეტაკება მოხდა და რამდენისამე საათის შემდეგ თავისუფალ მეომრებმა მალანის სიმაგრე აიღეს.

ბარსმიტი. ბოტას მეუღლემ განაცხადა, რომ დროა ჩემმა მეუღლემ უსარგებლო ბრძოლა შესწყვიტოსო. შაბათს გენერლის რენდლის რაზმს ბრძოლა მოუხდა და იძულებული შეიქნა მძიმე არტილერია გარეკოდა ამ ბრძოლაში.

ვარშავა. ოლქის სასამართლომ მკურნალს პრჟიბოროვსკის, რომელსაც სასჯელთა შესახებ დებულების მე-1462 და 1463 მუხლებში აღნიშნულ დანაშაულობის, მუცლის გაფუჭების, ჩადენა ბრალდება, გარდაუწყვიტა უფლება-მდგომარეობათა ჩამორთმევა და კატორ
4 წლით.

მოსკოვი. დედოფლის დრ
სურვილის თანახმად პროფესორ
სნეგირევი და გუბარევი ბელგრად
გაემგზავრნენ.

12 აპრილი

ტვერი. ვოლგის ზემო ნაწილ
გემებმა მოძრაობა დაიწყეს. წყალ
ძალიან დაიკლო.

ლონდონი. ამას წინად მიღებ
ლი საეჭვო ცნობა გამართლდა:
ლაქ ლიტაში აღმოჩნდა ოქროს მა
ნები. მთავრობის მიერ მოწვეულ
სპეციალისტმა გამოიკვლია ამ მა
ნების ნიმუში და ერთს ტონზედ
უნცი ოქრო აღმოჩნდა, მთავრობ
განაცხადა, რომ მთელი ეს აღმო
ნილი ოქრო მე მეკუთვნისო.

პრეტორია. ოფიციალურის ცნ
ბებით, ტყვეთა რიცხვის გამოცხად
ბის შემდეგ კიდევ 355 კაცი ტყვე
წაყვანილი. ინგლისელებს და
386 თოფი, ერთი 12 გირვანქ
იარაღი 150,000 პატრონი.
ბური მოკლულ იქმნა. ინგლისელ
მოუკლეს ერთი კაცი და ერთ
დაუჭრეს.

განცხადებანი

ტფილისის ქალა
ქის გამგეობა
აცხადებს, რომ 16 აპრილს, შუ
დღის 12 საათზედ გამგეობის თან
დასწრებით მოხდება
საჯარო ვაჭრობა,
რომელზედაც იჯარით გაი
ბეტონის წყლის სადენ მილის გ
მართვის საქმე. მილი უნდა გაიმა
თოს მილიუტინის ქუჩაზედ დეღე
სკის სახლის ალაყ ფის კარებიდგ
რუქსის სახლამდე ანდრეევის ქუ
ზედ. სამუშაო სულ 4000 მანეთის
მსურველთ პირობანი შეუძლიან
გასინჯონ გამგეობის ამშენებელ გ
ყოფილებაში ყოველ დღე, კვი
უქმეს გარდა, 9 დგან 3 საათამდე
(3—6,—1)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
[illegible]
ბორსო-ცმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ იურგენსისა
აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვ
თელს ლაქებს და სპობს ოფლს. შე
რჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელო
ვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპო
ნი იხმარობ.
ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.
ფასი [illegible] ნაჭერისა 50
კაპ., $^{1}/_{2}$ ნაჭერი 30 კაპ.
იყიდება რუსეთის ყველა საუ
კეთესო საათფთიაქო მაღაზიებსა
და აფთიაქებში.
უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენ
სთან მოსკოვში. ю. (48—6,—39)

Дозволено цензурою. Тифлисъ 12-го Апрѣля 1901 г.
სტამბა მ. შარაძის და ა/ხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.